პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ოთხშაბათი, 16 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

ფოთლის ანომალია

№ 477 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს №№ 1—40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც ნომპარელის სტრიქონი
სამკლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

კომუნალურ სექციის ფევრეგის საყურადღებოდ.

კომუნალური სექცია დაყოფილია სამ ქვე/სექციათ: კეთილ-მოწყობის, უძრავ ქონებათა სამმართველოს და წარმოებების.—

ამიტომ ვთხოვ ამ სექციის წევრებს განაცხადონ სურვილი თუ რომელ ქვე/სექციაში სურთ მუშაობა.—

პირადი განხცადებები მიიღება 16 აპრილიდან 19 აპრილამდე დილის 9-საათიდან ნაშუადღევის 3-საათამდე კომუნალურ განყოფილების საქმეთა მმართველის ამხ. დვოროკოვსკისთან (ოთახი № 58.)

კომუნალურ სექციის თავმჯდომარე
ივანოვ-კავკასიელი.

ფულის რეფორმა

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით უკვე გამოცხადებულია ამიერ-კავკასიის ბონების მტკიცე კურსი და 15 აპრილიდან ხმარებაში შედის სახაზინო ბილეთები ვერცხლისა და სპილენძის ფული.

ამრიგად 15 აპრილი ხდება ისტორიული მნიშვნელობის დღეთ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ხალხის ცხოვრებაში.

შეწყდა ფასდაკარგული, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ამიერ-კავკასიის ბონების ბეჭდვა და მათი გამოშვება. მთელი სახალხო მეურნეობა გადადის მტკიცე ვალიუტაზე, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია მთელი საბჭოთა რესპუბლიკების მატერიალური ქონებით. თითეულ კაპეიკს აქვს თავისი მტკიცე ფასი, მტკიცე ღირებულება.

ფულის რეფორმა რეალურ სინამდვილეთ ხდება.

ამიერიდან მუშას ექნება მტკიცე ხელფასი, ის უზრუნველყოფილი იქნება ბაზრის მერყეობისგან; მშრომელი გლეხი მტკიცე ფასებში გაასაღებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებს; მთელი სახელმწიფო მრეწველობას, ვაჭრობას, კოოპერაციას საშვალება ეძლევა ურყევ ნიადაგზე დააყენონ თავისი საქმე და მისცეს მას გეგმიანი ხასათი.

მაგრამ ფულის რეფორმას თავისი მტერიც ჰყავს კერძო ვაჭრობის სახით. საერთოდ კერძო ვაჭრობამ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის შინაური ვაჭრობის სფერში. კერძო კაპიტალი შეეცდება ფულის რეფორმის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ამიტომ მარტო დეკრეტით და მტკიცე ვალიუტის ხმარებაში გამოშვებით არ თავდება ფულის რეფორმის განხორციელების საქმე. მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს კოოპერაციასთან და ყველა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებთან ერთად მოუხდება სასტიკი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს ფულის რეფორმის ჩაშლას. მაგრამ ამ მხრივაც საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს. თავისი მონოპოლიით პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე, როგორც პური, შაქარი,, მარილი, ნავთი, მანუფაქტურა და სხვა, შესძლებს კერძო ვაჭრობის და კაპიტალის წინააღმდეგობას ბოლო მოუღოს. პროლეტარული სახელმწიფო არავითარ საშვალებას არ დაზოგავს, რათა საკუთარ ცხოვრებაში ფულის რეფორმა, სამუდამოდ აღმოფხვრას შავი ბირჟები, სხვა და სხვა ხარის ხის „ერივანკები“, ნიადაგი მოუსპოს ყოველგვარ სპეკულიაციას.

ახალი ვალიუტის განმტკიცება საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრებაში ეს ურყევი გარანტიაა მშრომელთა ხალხის კეთილდღეობისა.

ამიტომ ვინც თავისი მოქმედებით ძირს გამოუთხრის ფულის რეფორმას, დაარღვევს საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს მტკიცე ვალიუტის შემოღებასთან დაკავშირებულს, ის მტერია მშრომელი ხალხის და საბჭოთა რესპუბლიკის. მათ წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს მუშურ-გლეხური ხელისუფლებასთან ერთად მთელი მშრომელი მასა და ყველა ის ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ქვეყნების ინტერესები და კეთილდღეობა.

საერთო ძალღონით, ენერგიული მუშაობით ჩვენ შეგვძლებთ ამ დიადი საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას და სამუდამოთ განვამტკიცებთ მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალურ მდგომარეობას.

„ვაჭრული შანტაჟის“ პოლიტიკა

საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია განაგრძობს მტრული, შეურიგებელი პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პუანკარე დიდის გაფაციცებით ეწევა ჩვენს საწინააღმდეგო მუშაობას.

ის ყოველივე ღონისძიებას მიმართავს, რათა ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო განმტკიცების განვითარებას. სხვა და სხვა დიპლომატიური ხრიკებისა და კონბინაციების საშვალებით საფრანგეთის იმპერიალიზმის პრემიერი მინისწრაფვის ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას იმ სახელმწიფოთა მიერ, რომელთაც ჯერ ეს ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

მარტო ამით არ კმაყოფილდება პუანკარე.

მის უშუალო კარნახით რუმინეთის დიპლომატია ენერგიულ კამპანიას ეწევა, რათა დაარღვიოს ოსმალეთ—საბჭოთა რესპუბლიკების მეგობრული დამოკიდებულება, გადაკიდოს ოსმალეთი საბჭოთა რესპუბლიკებთან. გარდა ამისა ჩვენ გვეხდით მოწმე ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დემონსტრაციისა. ვენის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ პარიზს გამგზავრა რუმინეთის მეფე, სადაც მას ცბიერი საფრანგეთის ბურჟუაზია დიდის პატივის ცემით დახვდა. აქ, პარიზში დადებული იქმნა რუმინეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება მიმართული გერმანიისა და უმთავრესად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ანალოგიური ხელშეკრულება დადებული იქმნა აგრეთვე რუმინეთ-იაპონის შორის.

ერთი სიტყვით საფრანგეთის მტაცებლური იმპერიალიზმი დიდის გაფთრებით მუშაობს ჩვენს წინააღმდეგ. ის განაგრძობს „ნემსის ჩხვლეტის პოლიტიკას“, „ვაჭრული შანტაჟის პოლიტიკას“, როგორც ეს სთქვა ამხ. ტროცკიმ თავის მოხსენებაში თბილისის საბჭოს უკანასკნელ საზეიმო პლენუმზე.

ასეთი გზით პუანკარეს სურს გადაახდევინოს მეფის ვალები საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომ არის, რომ ამე ვა გაფფრებით ის ახდენს ყველა თავისი მოსარჩლეთა დათანამოაზრეთა მობილიზაციას ჩვენს წინააღმდეგ სადემონსტრაციოთ.

მაგრამ პუანკარეს ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ დემონსტრაციების საზღვრებს ვერ გაშორდება.

ამ გზით ის ვერაფერს ვერ დაგვაკლებს და ვერც შეგვაშინებს.

ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ, რომ შეგვეშინდეს პუანკარეს „ნემსის ჩხვლეტისა“.

პირიქით, თითეული მტრული ნაბიჯი გადადგმული საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი დანაკლისი იქნება არა ჩვენთვის, არამედ თვით საფრანგეთის ბურჟუაზიისთვის.

ამას გრძნობს თვით საფრანგეთის ბურჟუაზიის უმრავლესობაც.

პუანკარეც გრძნობს თავის ბატონობის აღსასრულის მოახლოებას და ამიტომ არის, რომ შემოდგომის ბუზსავით იკბინება.

—ე.

რადიო-დეპეშები

— კოგუნისტური პარტიის დახურვის შემდეგ რუმინეთის კომპარტიამ გააძლიერა არალეგალური ორგანიზაციების გავრცელება, სადაც მოუწოდებენ საერთო პროლეტარიატს და გლეხობას დაეხმარონ რუმინეთის პროლეტარიატს.

— ბრესლავლში, მაგდებურგში და მიუნხენში გრძელდება მბეჭდავთა გაფიცვები.

— ძლიერდება შეტაკებები სირიის აჯანყებულთა და საფრანგეთის ჯარებს შორის. მოსალოდნელია მსხვილი შეტაკებები.

— დანიის კაბინეტი გადადგა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ესდეკ სტაუნინგს. ახალი კაბინეტის სიაში არის ქალი ნინა ბანგი.

საბჭოთა კავშირში

1-ლი მაისის დღესასწაული.

ყველა მუშკომებს, ოლქკომებს, საოლქო ბიუროებს და ნაციონალურ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს.

გამოქვეყნებულია ერკაპეს ცეკას მიმართვა ყველა გუბკომების, ოლქკომების, საოლქო ბიუროების და ნაციონალურ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებისადმი:

ცეკა მიმართავს ყველას, რათა მიმდინარე წელს 1-ლი მაისი აღნიშნულ იქნას მასიური მიტინგებით, და დემონსტრაციებით, რომლებზედაც უნდა გაშუქებულ იქნას სსრკ-ს როლი საერთაშორისო მდგომარეობაში. კაპიტალისტური ქვეყნების მიერ იძულებითი ცნობის გვერდით, ჩვენ ვსდგებართ მტრული პოლიტიკის წინაშე საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის მხრივ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებმა უნდა ამცნონ ამ დღეს მთელ ქვეყანას თავისი შეუდრეკი ნების ყოფა და საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად სასტიკად უნდა გაილაშქროს მშვიდობიანობის დამრღვევთა პოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საფრანგეთის, რომელიც აქეზებს რუმინეთის ბესარაბიის ოკუპაციის გაგრძელებაში, რომელიც დახმარებას უწევს საბჭოთა წინააღმდეგ შეიარაღებას, ხელს უშლის ჩინეთს მოაწეროს ჩვენთან ხელშეკრულებას. ამ ინტრიგებს წინაშე ჩვენ რაც შეიძლება აშკარად და ძლიერად უნდა აღვნიშნოდ ჩვენი მზად ყოფნა წითელი არმიის გამაგრების საქმეში.

წასული წელი იყო ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარიატის მძიმე გამოცდები—წელი უმუშევრობის, ხელფასის დაკვმის, სამუშაო დღის მომატების, ფაშისტური ტერორის გაძლიერების. მუშათა კლასი გამოიყენებს ამ გაკვეთილებს. მუშათა კლასი ვერ გაიმარჯვებს, სანამ ფართე მასები არ განთავისუფლდებიან მეორე ინტერნაციონალის გავლენისაგან, რომელიც გარდაიქცა საერთაშორისო ფაშიზმის ერთ ერთ რაზმად. მუშათა კლასი გაიმარჯვებს თავის რიგების ერთიან ფრონტზე შეკრებით კაპიტალიზმისა და სოციალ დემოკრატიის გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ, სადაც უნდა მოიმხროს ეროვნებათა და კოლონიების ჩაგრული მასები.

გლეხთა დაახლოვება უნდა გახდეს ჩვენ საერთაშორისო ლოზუნგად. როგორც წინა წელში, 1-ლი მაისის დღით უნდა ვისარგებლოდ ამ დაახლოების შემდეგი გამტკიცებისათვის ჩვენს ქვეყანაში. 1 მაისს პარტიის ამოცანებია—ფართე პოპულიარიზაცია ეყოს საბჭოთა ხელისუფლების ზომებს, რომლებიც მიმართული არიან გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესებისა და საგადასახადო სისტემის და ფინანსთა საქმის მოგვარებისაკენ.

მუშათა კლასის შესახებ პარტიამ უნდა აღნიშნოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მრეწველობის გამტკიცებასთან დაკავშირებით, იმ დროს, როცა ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარიატის ცხოვრება თან და თან მძიმე ხდება.

1 მაისს თავდება დაზგის მუშათა მიზიდვის კომპანია მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. საერთაშორისო დღესასწაულის დღეს ჩვენ უნდა გავაცნოო უპარტიო მასებს ამ კამპანიის შედეგები, რომელმაც განამტკიცა კავშირი ერკაპესა და მუშათა კლასს შორის, რომელმაც გაათკეცა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძალა, უნდა გავაშუქოდ ჩვენი პარტიის როლი წარსულში და მომავალში და როლი მისი დამაარსებელ ბელადის ილიჩისა—და ამ რიგად ჩავუყაროდ მტკიცე საფუძველი შემდეგისათვის მუშების პარტიაში შემოსვლის საქმეს, მომავალ ძლევა მოსილ ბრძოლას ჩვენი მასწავლებლის ანდერძების ასასრულებლად.

ამხ. რადეკის მოხსენება.

გერმანიისა და სსრკ—ს მშრომელები.

გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგის საგუბერნიო კონფერენციაზე,

ამხ. რადეკმა მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გაატარა ანალოგია სსრკ—ს და გერმანიის მშრომელთა შორის. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მიუხედავად დიდი ტანჯვისა, გმირულად შესძლეს აღებულ ძალაუფლების დაცვა. ჩვენი დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა ამ დღეებში ინგლისში, დაიწყებს ბურჟუაზიასთან მოლაპარაპარაკებას ჩვენ მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე. მეფის ვალებს ჩვენ არ ვიხდით, მემამულეებს—მიწას და ფაბრიკას პატრონებს—ფაბრიკებს არ მივცემთ. ჩვენ არ ვფარავთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მძიმეა და ჩვენ მოგვიხდება კიდევ დიდი მუშაობა, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ ჩვენი საქმისწარჩინებას, ვიზრდებით და მივდივართ წინ.

გერმანიაში სხვა სურათია. გერმანიის მუშები, გაწამებულნი 4 წლიანი ომით, შეუშინდენ რევოლიუციონურ გზას და გიჰყვნენ სოციალ დემოკრატებს. სიკვდილი სცელავს მშრომელთა რიგებს. ტუბერკულიოზი და ყბაყურა გახდენ ჩვეულებრივ მოვლენებად. გერმანიაში სასტიკი სამოქალაქო ომია, მაგრამ საბჭოთა კავშირთან განსხვავებით, სადაც პროლეტარიატმა შექმნა წითელი არმია და ჩეკა, გერმანიაში ხელისუფლებასთან ბურჟუაზია, რომელმაც შექმნა თეთრი არმია და თეთგვარდიელთა „ოხრანკა“. მუშები, სოციალ-შემთანხმებელთა წყალობით, განიარაღებული და უმწეონი არიან. ისინი ეხლა ხედავენ თავის შეცდომებს. ამ წლებში ჩვენ დავინახეთ, როგორ გაიზარდა კომპარტია გერმანიაში, რომლის რიცხვი დღეს აღწევს 300.000.

გურეუაზიულ ქვეყნებში

ინგლისი.

„მუშათა“ მთავრობა და კომპარტია.

ლონდონში დიდი სენსაცია გამოიწვია პოლიციის ორი შპიონის აღმოჩენამ ლონდონის კომპარტიის ორგანიზაციის კონფერენციაზე- კონფერენციას სხდომა ჰქონდა დარბაზში, რომელშიც ჩვეულებრივად სათეატრო წარმოდგენები იმართებოდა. კონფერენციის თავმჯდომარემ ხაუკინმა სცენაზე აღმოაჩინა საიდუმლო კარები, რომლებიც თავისუფლად იღებოდა. კარებს ქვეშ იმყოფებოდა კიბე. დელეგატები ჩაეშვნენ კიბეზე და აღმოაჩინეს ბატარეა ოთახი, სადაც მაგიდას უსხდა ორი კაცი საუზმეთი, გაზეთებით და სტენოგრამებით. დელეგატების მიერ შეპყრობილი ჯაშუშები ამაოდ სცდილობდენ გაქცევას, მიართეს ყვირილი და პოლიციის ძახილი. ისინი გადაცემულ იქნა პოლიციას. ჯაშუშები აღმოჩნდნენ „პოლიციის მოსამსახურეები“.

კომპარტიის ცეკას წევრები აცხადებენ, რომ ეს მაგალითი პირველია ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, კომპარტიაშეეცადა ამის შესახებ მიემართა შინაგან საქმეთა მინისტრ—გენდერსონისთვის, მაგრამ ამაოდ. ეს საკითხი უსათუოდ დასმული იქნება პარლამენტში.

საფრანგეთი და რუმინეთი.

დემონსტრაცია გერმანიასა და სსრკ-ს წინააღმდეგ.

„ბერლინერ ტაგებლატის“ პარიზელ კორესპონდენტის ცნობით, რუმინეთის მეფის პარიზში ჩასვლის მიზანია საკავშირო მოლაპარაკების და დება რუმინეთსა და საფრანგეთს შორის.

საფრანგეთი დახმარებას გაუწევს რუმინეთს არმიის რეორგანიზაციაში.

პოლონეთი.

„ეროვნულ უმცირესობის საქმეთა ორიგინალური კომიტეტი“.

პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებება სათათბირო ორგანოს სახით ეროვნულ უმცირესობის საქმეთა კომიტეტი, რომელშიაც არ შეეკა არც ერთი წევრი ეროვნულ უმცირესობათაგან. თავმჯდომარედ დანიშნულ იქნება სტანისლავ გრაბსკი, ცნობილი მტერი ბელორუსებისა და უკრაინელების. გრაბსკი, როდესაც ის იყო ვიტოსის კაბინეტში განათლების მინისტრად, სისტემატიურად ხურავდა უკრაინის და ბელორუსიის გაზეთებს. საერთოდ გრაბსკი მომხრეა განაპირა მოსახლეობის გაპოლიაკებისა.

ᲥᲕᲘᲗᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲠᲝᲕᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲒᲐᲡᲪᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ.

დამთავრდა დომბროვის რაიონის სამთო მადნო მუშათა გაფიცვები. მუშებ სასტიკი დამარცხება იგემეს ქრისტიან პარტიის, სახალხო-მუშათა პარტიის და პეპეესოელთა გამცემლობის მეოხებით. სამუშაო ქირა დომბროვში მცირდება 12 პროც., კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც გაუდიოდა ვადა მაისში, ირღვევა, და სწარმოებს ინდივიდუალიური ხელშეკრულების პოლიტიკა, რაიც ასუსტებს მუშათა პოზიციას.

მუშათა მასები განცვიფრებული არიან შემთანხმებელ ლიდერთა პოლიტიკით.

გერმანია

სრული გამოჯანსაღების გზაზე.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

„როტეფანე“ აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის მოწოდებას, რომელიც მიღებულ იყო ფრანკფურტში მომხდარ არალეგალურ პარტეიტაგში. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარტეიტაგმა საბოლოო ლიკვიდაცია მოახდინა შინა პარტიულ კრიზისის, რომელიც გამოწვეული იყო ოქტომბრის დამარცხებით სამხედრო დიქტატურის მხრივ. კომპარტია სრული გამოჯანმრთელების გზაზე სდგას.

მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კომუნისტების გამარჯვება არჩევნებზე განამტკიცებს მშრომელთა ნდობას კომპარტიისადმი. შემდეგ მოწოდება აღნიშნავს, რომ ფაშისტური მოძრაობა გადაიქცა საშიშ მასიურ მოძრაობად, და ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ გააერთიანა ყველა ძალები მსხვილი კაპიტალის დიქტატურის ქვეშ. მაგრამ, მუშათა ბრძოლა მოწმობს იმას, რომ გერმანიის პროლეტარიატის ძალა არ მოდრეკილა.

პარტეიტაგმა ამოირჩია ცეკა 15 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 11 მემორეხენია და 3 ცენტროვიკი. პარტეიტაგმა ერთხმად მიიღო მოქმედების პროგრამა და ლოზუნგი: „მთლიანი ფრონტი ქვემოდან“. პარტეიტაგმა დაადგინა, რომ არც ერთ კომუნისტს არ აქვს უფლება პარტიის კომიტეტის ნებადაურთველად გამოვიდეს პროფკავშირებიდან, და რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას ბრძოლა განხეთქილების მოახდენის ცდების წინააღმდეგ პროფკავშირის ბიუროკრატიის მიერ, რომლებიც ეშინობიან ამსტერდამის ინტერნაციონალს. ბრანდლერის, ტალგეიმის და ვალხესის რეზოლიუციებს პარტიის ამოცანებსა და ტაქტიკის შესახებ, არც ერთი ხმა არ ამოსვლია. პარტეიტაგმა გადასჭრა ყველა ძირითადი კითხვები სრული შეთანხმებით კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარესთან.

ქ. დ. მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება და სესხი.

უკვე სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება (ევკოგრუზი) აძლევს სესხათ საქონელს თავის წევრებს, რომელთა შორის გარდა ჩვენი დივიზიისა შედიან კავკასიის წითელ-დროშიან არმიის საავიაციო გარნიზონი, საქართველოს სამხედრო კომისარიატი, განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილები და ქალაქის საკომენდანტო. როგორც წინანდელ წერილში აღვნიშნავდი გასულ წელს ამ ოპერაციების ჩატარებას ჩვენ დივიზიაში, როგორც სხვა კოოპერატივებში, ხელი შეუშალა ბაზარის სხვა და სხვა ობიეკტიური პირობებით გამოწვეულმა მძიმე მდგომარეობამ. და მაინც კი, როდესაც შეიქნა საშუალება საქონლის მიღების ტრესტიდან და ნისიად დარიგების, ბევრი ამხანაგები შიშით უცქეროდნენ ამ საკითხს. იყო მომენტები, როდესაც დარიგებული საქონლის საფასურის გადახდის უზრუნველ ყოფელი საბუთის შედგენა კი ძნელი ხდებოდა. დრო კი მიდიოდა და გაჯანსაღების გზაზედ დამდგარი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება მოითხოვდა, რათა დაუყონებლივ ყოფილიყო გამოძებნილი ფორმები და მომხმარებელთათვის მიგვეწოდებია სესხათ ქართნის ნაწარმოები, რომლის საჭირო რაოდენობის ერთბაშად შეძენა არ შეეძლო არც ერთს. საკითხი ისმებოდა გადასაჭრელათ და კიდევაც, მიუხედავად ღირებულების ანაზღაურების წესის ზოგი საკითხების გამოურკვევლობისა, ჩვენ შეუდექით სესხით საქონელის გაცემას, ჩვენ გამხნევებული ვიყავით ნაწილების სამხკომების და უფროსების ამხანაგური დახმარების იმედით, აგრეთვე იმითაც, რომ საზოგადოების წევრები როგორც ორგანიზაციის ბატონ პატრონი რაციონალურათ გამოიყენებდნენ სესხს და ვალის გადახდაზედ ფულების თავის დროზედ დამრუნებაში მიიღებდნენ მხურვალე მონაწილეობას, ვინაიდან თუ ფული გაჩერდებოდა ნაწილებში და დაიგვანებდა, მაშინ ან თვითონ დაკარგავდნენ კურსის განსხვავებას ან და დაგვეკარგებოდა ჩვენ, რაც აუარებელი ზარალს მიაყენებდა საზოგადოებას. აი ეხლა როდესაც ორი თვე გავიდა და უკვე ხელში გვაქვს შედეგების ციფრები, მე დიდი სიხარულით და დაბეჯითებით შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენ შესანიშნავათ ჩავატარეთ გამოცდები; დღეს ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენში ცოცხალია და მაგრათ არის ჩანერგილი ის კოოპერატიული დისციპლინა, რომელიც არის აუცილებლად საჭირო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

სულ სესხის ჩასატარებლად ჩვენ გვქონდა გათვალისწინებული, არა ნაკლებ 30.000 მანეთის საქონელი, რომელთა შორის საფეიქრო სინდიკატიდან მივიღეთ მხოლოდ 14.000 მანეთამდე დანარჩენს განუწყვეტლივ ვღებულობდით საკუთარი ცენტრიდან (ცეკავშირი) ფრიად ხელსაყრელ პირობებში. სესხი წარმოებდა იანვრიდან 10 მარტამდე. ამ ხნის განმავლობაში თბილისის გარნიზონში და მუხრავანში მყოფ საზოგადოების წევრებმა მიიღეს 773 ორდერი 26.331 მან. 14 კაპ. ორდერები. დანარჩენებმა მიიღეს ფართალი, გალანტერეია და ფეხსაცმელები სულ 25.821 მ. 44 კაპ. ეს სესხი გაცემული იყო სამი თვის ვადით. გარდა ამისა ჩვენ შეუდექით პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებას სესხით ნაწილების მაღაზიებიდან ჯამაგირიდან, ჯამაგირის მიღებამდე. პირველ აპრილამდე ამ მაღაზიებიდან არის მიწოდებული 8.500 მანეთის საქონელი. ამ რიგად 1-ლ აპრილამდე ჩვენ მივაწოდეთ დიდ ვადიანი და მოკლე ვადიანი სესხი თბილისში და მუხრავანში მყოფ ჩვენ წევრებს 34.321 მან. 44 კაპ. ღირებული საქონელი, რომელიც იყო დაფასებული კომენუტორგის სპეციალური დადგენილების მიხედვით დაკლებულ ფასებში.

ვ. ბახტაძე.

(გაგრძელება იქნება).

სავალდებულო დადგენილება

№ 61.

14 აპრილი 1924 წელი.

საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს სახელმწიფო ორგანიზაციების დადგენილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარების მიზნით ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) შექმნილ იქმნას მასთან განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს ქ. ტფილისში საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსა, ა. კ. ს. ს. ფ. რ. შინა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატისა და სხვა სახელმწიფო მაღალ ორგანოთა ყველა დადგენილებების სწორი ასრულებისათვის სასტიკი თვალყურის დევნა და პასუხის გება-ში მიცემა იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელნიც ამ დადგენილებებს დაარღვევენ.

2) დაევალოს ყველა, როგორც კერძო აგრეთვე კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო წარმოებათა პატრონებს—გამოსაჩენ ადგილას დაჰკიდონ ფასების ცხრილი ყველა იმ საქონელზე, რომელნიც ცალობრივ ვაჭრობაში ხვდება.

3) დაევალოს მ/გ მილიციას ყოველნაირი დახმარება გაუწიოს კომისიის წევრებს და მათ რწმუნებულებს ფასების მოწესრიგების დარგში ცალკე განკარგულებათა და დადგენილებათა ასასრულებლათ.

4) ფასებს მოწესრიგების დარგში სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი პირნი ფასების დამწეს განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებით, დაპატიმრებულნი იქნებიან 2-თვემდე ან დაჯარიმებული 15 ჩერვონამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

მდივანი: **თიკანაძე.**

სავალდებულო დადგენილება

№ 62.

14 აპრილი 1924 წ.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა:

ა. კ. ს. ს. რ. ფ. ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატის ა/წ. 12 აპრილის დადგენილების თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მაგარ ვალიუტაზე გადასვლისა და ბონების დაკეთის გამო დაზღვევითი მომატების უმიზნობის გამო 1924 წლ. 15 აპრილიდან ქ. თბილისში შემოღებულ იქნას უმაღლესი ცალობრივი ფასები შემდეგ საგნებზე:

1) ჰური	1 ხარ.	1	გირ.	8 კაპ.
„	2 „	1	„	6 კაპ.
„	3 „	1	„	5 კაპ.
2) შაქარი	რაფინადი	1	„	35 კაპ.
„	ფხვნილი	1	„	28 კაპ.
3) მარილი	ყულფის	1	„	2 კ. (ფუთ. ცალ. 76 კ.)
„	ნახიჩევანის	1	„	2 კაპ.
„	ყირიმის	1	„	$2^1/_4$ კაპ.
4) ნავთი		1	„	$3^3/_4$ კაპ.

2. უმაღლესი ფასები სავალდებულოა, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის აგრეთვე კერძო სავაჭრო წარმოებათათვის.

3. ცალობრივ ვაჭრობაში ფასების დაკლება გავრცელდეს სხვა საქონელზედაც არა ნაკლებ 15 პროც. რაოდენობისა ა/წ. 7 აპრილის ფასებთან შედარებით.

4. ფასების დამკლებ კომისიას ევალება სასტიკი თვალყური ადევნოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

5. ამა დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან 2 თვემდე ან და დაჯარიმებული 15 ჩერვონამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**

ფასების დამკლებ კომისიის თავმჯდომარე, აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი: **ივანოვ-კავკასიელი.**

მდივანი: **თიკანაძე.**

საარტილერიო დივიზიონი ექსკურსიაზე.

4 აპრილი ქარიანი დღეა. ყაზარმის სახურავებს თავისი ჭრიალით მოუწყვიათ სიმღერა. ეზოში ფაცი-ფუცია. სიცოცხლით სავსე არტილერისტები კაზმავენ ცხენებს, ეტყობათ სადღაც მიეშურებიან. რამოდენიმე ნაწილი ჩამწკრივდა თავიანთ ბედაურებით, გამოჩნდა დივიზიონის სამხედრო. სამხედრო მისალმების ხმა შეუერთდა ქარის ზუზუნს.

ამხ. სერგო, ცხენები ყველასთვის მზად არის?—შეეკითხა სამხკომი დივიზიონის მორიგეს:

— გვაკლია რამოდენიმე—იყო პასუხი: სამხკომმა გასცა განკარგულება ცხენები ეთხოვათ რუსების დივიზიონიდან და მიიმალა ყაზარმის კარებში. მახლობელი ჯგუფი წითელ არმიელთა ასე მსჯელობდენ:

ბიჭო ნიკა! ჩვენ ახლა ავქალაში მივდივართ ეკსკურსიაზე?—ჰო მივ დივართ და—იყო პასუხი.

მერე ჩვენ აქა ელექტრონის ტაციას ვნახავთ არა?—ვნახამთ ნიკა და როგორია იგი ტანცია არ ვიცი. რა საინტერესოა ამისთანა ნეტა ჰა? ამათ მუსაიფს ზამოესწრო უფრო მომზადებული წითელ-არმიელი და დაუწყო მათ ბაასი.

—ამხანაგებო, ჩვენ ვნახავთ ავქალაში თუ რა დიდი საქმე სრულდება. ვნახავთ აგრეთვე თუ როგორ ასრულებენ ამა თუ იმ ტეხნიკურ საქმეშოს. ის საღგური დიდი სასარგებლო იქნებაო, ასე გვითხრა ჩვენ პოლიტხელმა ბატარეიაში და ვნახოთ რა იქნება—მაშ ბიჭო ნიკა ეს კარგია იცი? ზეგ გვანთავისუფლებენ და ის სანახაობაზე უამბობ მეზობლებს სახლში აუცილებლათ.—მეთაურის განკარგულებამ შესწყვიტა ამხანაგების საუბარი. დაეწყო მწყობრი და გაეშურენ გზისაკენ. ცხენების ფეხთა თქარა—თქური, მუსიკის ხმა და ქარის ზუზუნი შეეხმატკბილენ ერთი მეორეს, რაჰაც გამოაფინა ქუჩებში ხალხი. გავსცილდით ქალაქს. შევცურდით ტრიალ მინდორში. გამოჩნდა ნიშნი განკარგულებისა და ცხენებმაც იწყენ ნავარდი. წარმომიდგა ბრძოლის ველი.

მიუახლოვდით შრომის ნაყოფსაც. მშვენივრათ მორთული ყაზარმები, მუშების ცოცხალი მოძრაობა, ფერად-ფერადი სანახაობა გადაეკვანძა ერთი მეორეს და მნახველის თვალიც ცურაობს, არ იცის თუ რომელი გასინჯოს გულდასმით. ჯაბად გაისმა: ბამ... ბუმ... ბუმ... ბუმ...—ბიჭო თავს დაგვესხენ აბა მოვმართოთ ქვემეხები—გაისმა სიცილი და ხმა:-აფეთქენ, აფეთქენ მაგარი ყლდები.—გაკურცხლენ ახალი სანახაობისაკენ. მიუახლოვდით. უზარმაზარი სიპები ჩამონგრეულიყვენ.

გაბურული მუშა გრძელი რკინით წამომჯდარიყო ყლდეზე, რომლის ხელში იყო ელექტრონის მამოძრავებელი, და ქვას როგორც ხეს ისე ბურღავდა. მუშის ხელებს ძაგ-ძაგი გაქონდა.

ეს შენი მარჯვენის ჭირიმე როგორ უძოებს ამოტოლა ძალას აბა!—სთქვა ნიკომ. მუშები ელვისებური სისწრაფით მუშაობდენ. ბევრი ახალი სანახაობა ნახა ჩვენმა წითელ-არმიელებმა. ბევრი მათგანი გლეხის შვილები იყვენენ და თავის დღეში არ ქონდათ ნახული ისეთი სამუშაო მანქანები როგორც იქ ნახეს. უმეტესათ ნასიამოვნები დარჩა ის მრავალ-ფეროვანობით ჩვენი ვიგა და შაქრო, რომლებიც მადლობას უძღენდენ თავიანთ გულში დივიზიონის სამხკომს ამხ. სანაკოეს.

ნაუშაოდღეს გამოეშურა ჩვენი მერნები ყაზარმისაკენ. მთელი ორი დღე ბაასობდენ წითელ არმიელები ჰიდრო ელექტრონის სადგურზე. უსწავლელი გლეხის შვილიც მიხვდა მის დიად მნიშვნელობას და მთელი არმიელები ამას ამბობენ: „გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას და ხუშათა კლასის მფარველ საბჭოთა მელისუფლებას“ **დ. კოხნარელი.**

პარტ.-ცხოვრება.

სამხედრო პარტ-სკოლაში.

შესდგა ქ. მ. დ. სამხედრო პარტ სკოლის კომ-უჯრედის მორიგი კრება. მორიგეობის სახით თავმჯდომარეობს ამხ. მიმინაშვილი მდივნად ამხ. საათაშვილი. დღის წესრიგში იყო ორი კითხვა. 1. მოხსენება საპაერო ფლოტის წარმოშობის შესახებ მისი განვითარება საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. 2. არჩევა ერთი წევრისა, რომელიც მოაწყობს კურსანტების და უფ-შემადგენლობის წევრად ჩაწერას საპაერო ფლოტის კავშირში.

პირველ საკითხის ირგვლივ მოხსენებას აკეთებს კურსანტების რიგიდან ამხ. გოგაძე, რომელმაც ვრცლად და მდგმაო ენით განმარტა საპაერო ფლოტის წარმოშობა და მისი განვითარება დასავლეთ ევროპაში და ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების შეხედულება საპაერო ფლოტის გაძლიერებაში.

ამის შემდეგ თანამმეხსენებლად გამოდის ამხ. ცაგარეიშვილი, რომელმაც მოაყვანა განვითარების სტატისტიკური ცნობები საპაერო ფლოტიდან, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია. 2 საკითხის ირგვლივ ამხ ცაგარეიშვილი იძლევა ცნობას რომლის შემდეგ იქნა არჩეული ამხ. ცაგარეიშვილი, მას დაეკალა რომ ყველა კურსანტები და უფ-შემადგენლობა სურვილისამებრ ჩაწეროს საპაერო ფლოტის კავშირში. რომლის შუშაობასაც შეუუდგა და ყველა კურსანტები თითქმის ეწერებიან წევრად. კრება იხურება ინტერნაციონალით.

ლეჟავა.

ქართულ დივ. სამხ. რევტრიბუნალში.

ბადენკოს საქმე.

14 აპრილს ტრიბუნალმა გაარჩია 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელ ვლადიმერ ივანეს-ძე ბადენკოს საქმე. ბრალდებოდა სამსახურიდან ორჯერ უნებართვოთ წასვლა.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია რომ ბადენკო ყოფილა წვრილი ცოლშვილის პატრონი და დედ-მამის ერთად-ერთი მარჩენალი. ჯარში იქნა გაწვეული 1923 წლის აპრილში. ბრალდებულს არავითარი ქონება არ გაჩნია მხოლოთ თავისი სპეციალური ხელობით (იგი მექანიკია) არჩენდა ოჯახს.

მისი წარსული.

უწინ იგი ყოფილა გემზე მეზღვაურათ სამეკანიკოთ განყოფილებაში. ოქტომბრის რევოლიუციის ხანაში

ტერიტორიალურ ჯარის შესახებ.

საფუძველად, ტერიტორიალურ ნაწილების უფ-პოლიტ შემადგენლობის შრომას უნდა დაედოს ღრმად შეთვისება ყველა კანონმდებლობისა რაც ეხება წითელ ლაშქრის ახალ აღმშენებლობას, თან დაკვირვებითი შესწავლა მთელ ლიტერატურულ ნაწარმოებისა ჯარის მილიციონურ აღმშენებლობაზე.

რას წარმოადგენს მილიციონური წესი (წყობილება) შედგენილი დამყარებული ტერიტორიალურ საფუძველზე:

პირველი, მუდმივ ჯართან შედარებით, ტერიტორიალური ნაწილების კადრი წარმოადგენს უმნიშვნელო რიცხვს, მაგალითად ერთ მეათედი ნაწილის შტატის შემადგენლობისას. დანარჩენი ნაწილი კი, რომელსაც ეწოდება ცვალებადი შემადგენლობა და ირიცხება ნაწილში, მუდამ თოფ ქვეშ არ იმყოფებიან, არამედ მოკლე ხნით გამოიძახებენ საერთო სამხედრო ვარჯიშობისათვის, მუდმივი შემადგენლობის (კადრის) ხელმძღვანელობით.

მეორე, ცვალებად შემადგენლობაში ირიცხებიან მოქალაქენი განსაზღვრული ასაკისა იმ (უბნიდან) რომელ საზღვარშიდაც დამანაკებულია ნაწილის მუდმივი შემადგენლობა.

ამასთანავე მოქალაქენი ერთ და და იგივე მოსახლეობისა, ქარხნის ან ფაბრიკისა, ეწერებიან ერთ და იგივე მწყობრ ერთეულს, მაგ. ოცეულს ან ასეულს. იქვე მეზობლად მდებარე დასახლებული ადგილები (Населенный пункт) ერთდებიან უმაღლეს მწყობრითი ნაწილებში.

ამ გვარად თვითეულ მწყობრითი ერთეულს—ოცეულს, ასეულს, ათასეულს და სხვა აქვს თავისი განსაზღვრული უბანი თავისი ტერიტორია ამიტომ ნაწილებიც ატარებენ წოდებას „ტერიტორიალურს“.

მესამე, მიუხედავათ იმისა, რომ უმთავრესი შემადგენლობა ტერიტ. ნაწილისა იმყოფებიან თავის ოჯახებში, ეწერვიან ყოველ დღიურ შრომას და მხოლოდ გროვდებიან მცირე ხნით, მაინც ნაწილები ასეთნი წარმოადგენენ ცოცხალ, მთლიან არსებას, რომელნიც შედეგებულია თავის სამხედრო ერთეულთან,

მეოთხე, მიუხედავათ მუდმივი შემადგენლობის სიმცირისა, ტერიტორიალური ნაწილები თვალებიან წითელი ლაშქრის, პირველი რიგის მებრძოლ ერთეულებად.

მეხუთე, თანახმად ტერიტორიალურ პრინციპისა მუდმივი შემადგენლობა არა თუ ასწავლის მარტო მათ ვინც ჩარიცხულია ცვალებად ნაწილში, არამედ ამზადებს და წვრთნის თავის რიგითნის იმ ახალგაზრდობას, რომელნიც შემდეგში გასწავლვი არიან ჯარში, ასე რომ ქამუკანი, რომელთაც მოუწევთ რიგი ლაშქარში ჩარიცხვისა, უკვე გაწვრთნილნი უნდა იქმნენ სამხედრო დარგში.

ეხლა ვიკითხოთ, რაში გამოიხატება ტერიტორიალურ სისტემის უპირატესობა მუდმივ ჯარზე.

1. ტერიტორიალური ნაწილები მოითხოვენ სახელმწიფოდან ნაკლებ ხარჯებს თავის შესანახად, ვიდრე მუდმივი, ვინაიდან ინახავს ძლიერ მცირე მუდმივ შემადგენლობას.

2. მშრომელნი არ სწყდებიან (სცილდებიან) დიდი ხნით თავის ყოველ დღიურ საქმეს, რაც ეკონომიურად აღორძინებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს თვით მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. ბოლოს, მიუხედავათ იმისა, რომ სწავლისათვის მცირე დროა, ტერიტორიალური ნაწილები არიან სრული გაწვრთნილნი ბრძოლისათვის, განმტკიცებულნი მებრძოლი ერთეულებად და ყოველ წუთს მზად იმყოფებიან გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ნ. ე.

— **ბაღის გადაცემა.** პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს, ქალაქის აღმასკომის მიერ საეკსპლოატაციოთ გადაეცა ბაღი „არტო“.

— **თოვლი კახეთში.** კახეთში, თელავის მაზრაში, აპრილის 1-ლ რიცხვებში მოვიდა თოვლი რამაც ხეხილზე გამოტანილ ნაყოფი გაფუჭა.

— **უმუშევართა სასადილო.** უმუშევართა უფასო სასადილოს შესანახათ ქალაქის აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

— **დასასვენებელი სახლები.** სოც. დაზღ. სამმართველომ გადასცა დასასვენებელ სახლებს 20.000 მან. მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

— **მიმოფრენა მოსკოვთან.** ა. წ. 1-ლ ივნისიდან მოსკოვ—თბილისს შორის განახლდება მიმოფრენა აეროპლანებით.

— **ექიმთა შტატის გადიდება.** ქალაქის აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას გაადიდოს სასკოლო სასანიტარო ექიმთა შტატი.

— **გაზეთები სოფლებისათვის.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა მიმართა ყველა სოფლის აღმასკომებს გაზეთების კოლექტიურად გამოწერის შესახებ სოფლელების მიერ.

ხელოვნება.

— **ვენეციის გამოფენაზე.** ვენეციის (იტალიაში) სამხატვრო გამოფენაზე მიწვეულ არიან აგრეთვე ქართველი მხატვრებიც. ამის გამო შუამდგომლობაა აღძრული განათ. კომისარიატის წინაშე დახმარების გაღების შესახებ.

— **გ. ქუჩიშვილის გაგზავნა.** საქართველოს პროფკავშირთა დადგენილებით ავადმყოფი პოეტი გ. ქუჩიშვილი იგზავნება სამკურნალოთ აბასთუმანში.

— **კონცერტი.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში იმართება მომღერალ თარხნიშვილის ქალების კონცერტი.

— **ლექცია.** დღეს წით. არმ. ცენ. კლუბში წაიკითხავს ლექციას აინშტაინის თეორიის შესახებ 15 წლის ახალგაზრდა ამბარცუმიანი.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.**—წარმოდგენა არაა.

— **დრამა**—სომხური წარმოდგენა.

წ. არმ. კლუბი—ლექცია.

საბჭოთა აღმშენებლობა სპეციალურ დარგში*).

საბჭოთა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ნიადაგი ქმნიან განსაკუთრებულ პირობებს სა-

*) ვეტერინარია არის მეცნიერება, რომელიც ისახავს მიზნად უმთავრესად ცხოველების მოშენება-გამრავლებას, პიროუყვების გადამდებ სენთან ბრძოლას და მკურნალობას.

ახალი ამბები.

— **უცხოელთა საელჩოების შესახებ.** საქ. სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებით უცხო სახელმწიფოთა საელჩოების ავტომობილები განთავისუფლებულ არიან ყოველგვარ გადასახადისაგან.

— **სვანეთის საჭიროებისათვის.** ზემო-სვანეთის საალმშენებლო ამოცანათა შესასრულებლათ საქ. თავრობამ გადასდო 119,072 მანეთი.

— **წერა-კითხვის უცოდინ. მოსპობა.** საქ. სახკომსაბჭომ დაადგინა მიიღოს ზომები, რათა საქართველოში გასაბჭოების ათი წლის თავზე არ იქნეს არც ერთი წერაკითხვის უცოდინარი.

სოფლო სამეურნეო დარგისათვის საზოგადოთ და ცხოველების მოშენება-გამრავლებისათვის კერძოდ.

და ამასთან ერთად მას აქვს საზღვაო და რკინის გზები რაც, უტყუარი თვალებია იმისი, რომ საქართველომ უნდა დაიჭიროს შესაფერისი ადგილი მთელ მსოფლიოში, როგორც სხვა და სხვა კულტურულ მცენარეების აღმოცენებით, ისევე სხვა და სხვა სარგებლიანი მეურნეობით.

საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის დროს სახელმწიფო ყველა დაწესებულებების ყურადღებას უნდა იპყრობდეს. რომ უფრო ნათელ ვყოთ ვეტერინარიის საჭიროება, ნებას ვიძლევთ ჩვენს თავს ცოტა ვრცლად შევეხოთ იმ საკითხს—თუ რას წარმოადგენს სახალხო ვეტერინარია, რა მიზნებს ისახავს იგი და რა საშუალებებით შეიძლება ამ მიზნების მიღწევა. სახალხო ვეტერინარია არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დამყარებულია გლეხურ სათემო წესწყობილებაზე.

სახალხო ვეტერინარია არის ის ჟურნელი, რომლითაც მეცნიერება და უმაღლესი კულტურა უშუალოდ შედიან და უკავშირდებიან მუშურ-გლეხურ ცხოვრებას და მას უადგილ საჭიროებას. სახალხო ვეტერინარია უარჰყოფს მდიდრების და ძლიერთა უპირატესობას და აგრეთვე იქ კონკურენციის წყაროს, რომელიც აღმოცენებულია პირადი ანგარიშების და სარგებლობის ნიადაგზე. სახალხო ვეტერინარია ემსაურება უმთავრესად და თითქმის განსაკუთრებულად შრომელ გლეხობას, რომელიც თავის ოფლით და მადლიანი მკლავებით ქმნის სახელმწიფოს სიმდიდრეს; აქედან აშკარაა, რომ სახალხო ვეტერინარია იყო და უნდა იყოს მომავალშიაც ნამდვილად სოფლური და მასთან გლეხური და ამის გამო მისი მიმართულებაც უნდა ეგუებოდეს უმთავრესად სოფლის მოთხოვნილებას ვეტერინალურ დახმარების დარგში, უნდა ეგუებოდეს განსაკუთრებულად გლეხკაცურ ცხოვრების და მისი საქონლის მოშენება გამრავლების საჭიროებას.

მთელი ძალა სახალხო ვეტერინარიისა, მთელი მისი შემოქმედება, მთელი მისი სასოება აწმყოში და მომავალში ჩანასკუფლია ხალხურ ცხოვრების არა მწვერვალში, არამედ მის დაბლობში.

ყველამ კარგათ უწყის, რომ გლეხის მრავალ ტანჯული მესაქონლეობა დიდ გასაჭირს განიცდის, როგორც საერთო გადამდებ ცხოველების სხვა და სხვა სატიკერებისაგან, აგრეთვე თვითეული გადამდებ და არაგადამდებ ავადმყოფობისაგან და ამასთანავე ძლიერ საჭიროებს, როგორც რიცხვითი, აგრეთვე თვისებითი გაუმჯობესებას,—ამის და მიხედვით სახალხო ვეტერინარია არის ერთსა და იმავე დროს სანიტარული, სამკურნალო და ზოოტეხნიკური (საქონლის მოშენება-გამრავლების) ხასიათისა.

ვის შეუძლიან ამ მიზნებისდა როგორც მიღწევა? ეჭვს გარეშეა—მარტო ვეტ. სპეციალისტებს, იმ ვეტერინალურ სპეციალისტებს; რომელნიც ხალხის ჯურღმულიდან არიან გამოსული, რომელთაც ხალხის ჭირ-ვარამი შესისხლხორცებული აქვთ თავიანთ ბუნებაში, რომლებიც არ თაკილობენ გლეხურ ბოსლებში შესვლას.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

ბასარი.

მოხუცებულობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ადამიანის გაჩენა ხომ სიდიდმოლეები არის მოცული, ბ.ბრამ ფარული საშაში, ცივი და მიუკარებელია სიკვდილი. ეს მით ემტეს, რომ ყველასათვის აუცილებელია იგი. ჩვენი სიცოცხლის ბრწყინვალე, იმედიანი ბრძოლით ფასავსე დღეებს, ჩვენს ცხოვრებას ბოლოს სიკვდილი აფარებს შავს მანტიას და ადამიანის ოდესღაც ათას გვარ გრძნობებით აელვარებული გული სამუდამოდ დუმდება. ამ საშაში და გამოუცნობი აჩრდილის წინაშე თითქმის ერთნაირად კრთის ყველა, და ადამიანი აშკარა თუ გამოუჩინარი სინანულით გადის ცხოვრების სცენიდან.

არა ერთხელ დაფიქრებულა კაცობრიობა თავის ასეთ უნუგეშო მდგომარეობაზე. არა ერთსა და ორს ძველ მაგარ საუკუნეებს მოუნდომებია სინათლისა და და ცნობიერების შუქის შეტანა სიკვდილ-სიცოცხლის სიდუმლოებით მოცულ საკითხში, მაგრამ ეს მსოფლიო ამოცანა გაჯიუტებით ჰფარავდა სიმართლეს თავისი თავის შესახებ. პირველად ამბობდენ, სიკვდილი ეს უბრალო ბუნებრივი მოვლენა არისო. მაგრამ მართალი არც ეს შეიქნა. სრულიადაც არ გამოდგა სიკვდილი უბრალო ბუნებრივი მოვლენა, პირიქით შეიძლება ვსთქვათ, რომ ის არა ბუნებრივი, ავადმყოფური—პატოლოგიური, კრო გორც უწოდებს მეცნიერება. ამ გამორკვევამ უფრო სიხარულით ადავსო კაცობრიობის გული. აქედან გამოირკვა, რომ შესაძლებელი ყოფილა მაშასადამე მის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ყოველგვარი ავადმყოფობის წინააღმდეგ. ახალგაზრდობის დაბრუნების შესაძლებლობამ და სიცოცხლის გახანგრძლივებამ კვლავ მიიპყრო საერთო ყურადღება და გულის ფანცქალით შეუდგა კაცობრიობა ამ მიმართულებით მუშაობას. აქედან არა ერთს ულინჯავს თავისი თვი მოხუცებულობის მიზეზების აღმოჩენაში და ამნაირად საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებაში მუშობით. ბევრი იყვენ ასეთები. ბევრმა მართლაც მოხერხებულად ახსნა მოხუცებულობის გამომწვევი მიზეზები. მათ შორის ყველაზე უფრო საფუძვლიანად მიუდგა ამ საკითხს რუსი მეცნიერი მეჩნიკოვი—ერთგვარი დიეტის, რეჟიმის დაცვით, ანდა უფრო გამდიდული ნაბიჯი იყო კიდევ ოპერაცია—ადამიანის მსხვილი ნაწლავების ამოცლა.

უკანასკნელი წლების მიღწევებმა ყველა ეს ცნობილი ცდები დროებით გვერდზე გადასდო და გზა მიეცა სრულიად ახალ ცდებს სიცოცხლის გახანგრძლივებაში—რომელიც გამოიხატება ამ მიზნისათვის თვით ადამიანის სასქესო ორგანოების გამოყენებაში, ამ დიდ საკითხთან ასეთი თამამი ცდებით მისვლა დიდი ხანი არ არის რაც ეუწყა კაცობრიობას და დაკავშირებული ცნობილი ავსტრიელ მეცნიერ ს შტეინახის სახელთან.

რომ ადამიანისათვის სასქესო ორგანოებს განსაკუთრებული და მეტად დიდი დანიშნულება აქვთ, რომ მათ ე. ი. ორგანოების წესიერი მუშაობა თუ მათი აშლა თავის გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე საერთოდ, უკვე დიდი ხნიდან არის ცნობილი. სასქესო ჯირკვლებზე გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა—სპერმის გამომუშავება, მამაკაცის თესლი, დამოკიდებულია რაღაცა სხვა დიდმნიშვნელოვანი რამ. ამის ერთ საუკეთესო ილიუსტრაციათ უნდა ჩითვალოს „ევნუხები“ ანუ ჩვენებურად დასაჭურისებული ხალხი. ამათ თითქმის აღარაფერი არ შერჩენიათ მამაკაცის გარეგნულად მაინც. როდესაც დაკვირდებით საჭურისს—თქვენ აშკარად ვხედავ გაგირჩევიათ ის დედაკაცისაგან. უწვერ ულვაშო სახე. საერთოდ დედაკაცისათვის დამახასიათებელი სახე, ქალისებური წვრილი ხმა, გრძელი ფეხები, მრგვალებული ტანის ფორმა და რაც უმთავრესია სრულიად არ არის დინტერესებული დედრობითი სქესით. ეს იმიტომ, რომ ის დასაჭურისებული, უფრო ვუთვალოთ რომ ვსთქვათ დაკოდილი, მაშასადამე მას აღარ აქვს სათესლე ორგანები.

(გაგრძელება იქნება).

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲙᲛᲔᲓᲔᲒᲐ.

როგორც წინა წერილში აღნიშნულ იყო ლეგიონის არტილერიის დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს თავის ქვეითა ჯარს ბრძოლის ბოლო მომენტებში, როდესაც მოპირდაპირენი ძალიან დაუახლოვდებიან ერთმანეთს და როდესაც დივიზიის არტილერიის (როგორც მსუბუქ ისე მძიმე) დახმარება ტეხნიკურ პირობებს და თავისავე ჯარის დაზიანებას შიშის გამო შეუძლებელი ხდება.

ლეგიონის არტილერიის შემოღებამ არ უნდა შესცვალოს ქვეითა ჯარის და დივიზიის არტილერიის დღემდის დაწესებული ერთად მუშობის ხასიათი. ისინი როგორც წინათ მოვალენი არიან გაუკაფონ გზა და გაანადგურონ ყველა დაბრკოლებანი რაიც ქვეითა ჯარის წინსვლას აფერხებს ან აჩერებს. ამიტომ ბრძოლაში ქვეითა ჯარი ეხლაც უშუალო დახმარებას თავის დივიზიის (ზოგჯერ კორპუსის) არტილერიისაგან მიიღებს. არტილერიის ამ გვარი უშუალო დახმარება გაწეული იქნება ბრძოლის ყველა ხანებში, გარდა უკანასკნელ ახლო ბრძოლის მომენტისა, როდესაც ტრის პირველ ხაზზე ცეცხლის და თვალდევნის წარმოების სიძნელის გამო და მაშველების (რეზერვების) მოსასპობად გადაადგილებ იგი ტრის მოწყობის სიღრმეში ან მის ფრთებზე. აი ამ ხანაში კი უშუალო დახმარება ლეგიონის არტილერიის მოქმედება თითქოს დამატებითია მსუბუქ და მძიმე არტილერიის მოქმედებისა. ამიტომ ახალგვარ არტილერიის გამოყენება მოხმარებას ადგილი აქვს შემდეგ პირობებშ: ახლო ბრძოლის დროს, იერიშის, იერიშის გაძლიერება-განვითარების, კონტრ იერიშის ‌ᲓᲐ მოგერიების დროს.

ლეგიონის ქვემეხები (ქვემეხები იმიტომ რომ ამ არტილერიაში იქნება ან ზარბაზანი, ან მორტირა, ან ერთიც და მეორეც) უშვალოდ და შუალმივად ქვეითა ჯარის უფროსს ექვემდებარება და თუ ამ უკანასკნელმა, ამ არტილერიას, როგორც ახლო მყოფ საკუთარ საშუალებას, დაიკისრა ცეცხლით დახმარების გაწევა ყოველთვის როცა მას დასჭირდება, დაუსვა მას იმ გვარი ამოცანები, რომელსაც ამ მოქმენტში დივიზიის არტილერია თავისუფლად და დასწყვეტს, არა სასურველი შედეგი პოჰყვება: წინასწარ ამუშავებული გამომეტებული ლეგიონის ქვემეხები ტრის ცეცხლით ადვილად ჩაჩუმებულ იქნებიან ტყვილა უბრალოდ მაშინ, როცა მინი გამოსვლა საჭირო არ იყო, როცა ამ მუშობას დივიზიის არტილერია უფრო ჩქარა და ადვილად შესძლებდა.

ლაშქრობის დროს ლეგიონის ბატარეის მთავარი ნაწილი ლეგიონის მთავარ ძალასთან იქნება, ნაწილი კი ავანგარდში. შესაძლებელია აგრეთვე ქვემეხების დანაწილება წინმავალ და გვერდის სპეშა ‌ᲨᲝᲠᲘᲡ; სადარაჯო დაცვის ნაწილშიაც ქვემეხები შეიძლება მიეკუთვნოს იმ ასეულებს რომელთაც სადარაჯო უბნები უკავიათ.

სალაშქრო ბერაებს კი ქვემეხები არ უნდა მიეცეს, რადგან ეს ბერაები ჩვეულებრივ ჯერ ისე მცირე შემადგენლობისა არიან (ოცეული და კიდეც ნაკლები) რომ ქვემეხი მოძრაობს, მეორე მხრივ სალაშქრო ბერია ხშირად უეცრივ თოფის ცეცხლის სფერონი მოხვდება ხომე და მასთან ერთად სალაშქრო წესრიგში სარგებლობას ვერას მოიტანს და ადვილად დაიღუპება. ამავე მოსაზრებით ლეგიონის ქვემეხები სადარაჯო ბერაებსაც არ მიეცემა.

მოწინავე სპას და სადარაჯო უბნების ასეულებს ადგილებული ლეგიონის არტილერია გამოყენებულ უნდა იყვეს როგორც ლეგიონის არ ტილერია, ე. ი. ახლო ბრძოლის პიროობებში მუშაობისთვის გამოზოგილი.

დ. ქ-ძე.

საკვლევი ბიურო

როგორ გავრცელდა სიმინდი საქართველოში.

სიმინდი ამერიკული მცენარეა. ამერიკის აღმოჩენამდე მას არც ჩვენში და არც სხვა ქვეყნებში არ იცნობდნენ. იქ კი ამ მცენარეს ამერიკის ადგილობრივი მცხოვრებნი, ინკები და პერუანები, უხსოვარ დროიდან ამუშავებდნენ.

პირველად საქართველოში სიმინდი მე 18 საუკუნეში იქნა შემოტანილი მეფე სოლომონის დროს ერთი ვენეციელი ვაჭრის მიერ. ეს სიმინდი ეკუთვნოდა თავგადალესილი ანუ კაჟოვან სიმინდების ჯგუფს. სიმინდების ეს ჯგუფი ახლაც შერჩენილი არის ჩვენში მაღლოს ადგილებში მაგ. რაჭაში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში (გორის მაზრაში და ზოგგან კახეთში).

გასული საუკუნის სამოციან წლებში, მეფის მოადგილის ვორონცოვის დროს და მისი დამბარებით, კავკასიის სასოფლო—სამეურნეო საზოგადოების მიერ შემოტანილ იქნა მეორე სახის სიმინდიც, რომელსაც „ცხენის კბილი“ ეწოდება. ამ სიმინდის მარცვლის ზედა ნაწილი ჩაღრმავებულია ცხენის კბილის მაგვარათ, რის გამოც ეწოდა მას ეს სახელი. ამ ჯგუფის სიმინდები, როგორც უფრო მეტ მოსავლიანი, მალე გავრცელდა მთელ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში (ქვემო იმერეთში, გურია—სამეგრელოში და აფხაზეთში) ამ ჟამად უმთავრესად ეს ჯიში გვხვდება. თუმცა იგი სავსებით წმინდა არ არის, მასში გარეულია იმ თავგადალესილი სიმინდების სისხლიც, რომელიც პირველად იქნა ჩვენში შემოტანილი. ეს იმით აიხსნება, რომ სიმინდი ჯვარედინათ ნაყოფიერდება, ე. ი. სიმინდის მდედრობითი სქესის ყვავილი (ტაროს ულვაშები) თავისივე მამობრითი სქესის მტვრიანებით (წვერზე მოთავსებულ ფუჭჩრის მტვერით) კი არ ნაყოფიერდება, არამედ სხვა სიმინდის მტვერით, რომელიც ქარს გადმოაქვს. რადგან პირველ ხანებში „ცხენის კბილა“ სიმინდთან ერთად თავგადალესილი სიმინდიც ითესებოდა, ამიტომ მათი სისხლი აირია და ახლა ასეთი შერეული სიმინდი მუშავდება უმთავრესად ჩვენში.

გ. ა—ძე.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ

ᲣᲛᲐᲕᲗᲣᲚᲝ-ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ.

ტელეგრაფი და ტელეფონი საზოგადოთ ტეხნიკის ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს მიხწევად უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე უმავთული ტელეგრაფი კი უფრო ცხად ყოფს რომ კაცობრიობა ალბად უფრო უცნაურ და დიდ ტეხნიკურ მიღწევებს მოწამე შეიქნება.

ასეთ უცნაურობად უნდა ჩაითვალოს ე. წ. უმავთულო-მავთულიანი ტელეფონი.

ამ ახლო წარსულში ამერიკაში მოახდინეს ცდა უმავთულო-მავთუიანი ტელეფონის გამოყენებისათვის. ცდა შემდეგ ნაირად მიმდინარეობდა: ჩვეულებრივი ქალაქის ტელეფონის ერთი აპარატიდან სწარმოებდა ლაპარაკი ზღვაში მყოფ გემთან.

ამ ისტორიული ‌ᲪᲓᲝᲚ დროს ლაპარაკს ყურს უგდებდა 100.000 კაცზე მეტი. გემსა და ამონენტის შორის კავშირის სქემა ლაპარაკის დროს ასეთი იყო: ცნობის მიმცემი რადიო ტელეფონის სადგური მოაწყვეს ზღვის ნაპირზე 33 მილის დაცილებით ქალაქ ნიუიორკიდან. მიმღები რადიო ტელეფონის სადგური კი მოეწყო ელმერტონში. გემზე ხმაყვეთის გადასაცემათ მოხმარებული იქნა 380 მეტრ. სიგრძის ტალღა, ხოლო გემიდან პასუხის მისაღებათ კი 420 მეტრ. სიგრძის ტალღა. გადამცემ და მიმღებ რადიო ტელეფონის სადგურებზე დადგეს ლაპარაკის ავტომატიურად გადამცემი მანქანები მავთულიდან-მავთულზე. ან და უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, ქალაქის სადგურის ამონენტი, ქალაქის ჩვეულებრივ ტელეფონის ცენტრალური სადგურის საშუალებით გადასცემს სიტყვებს მავთულზე, რომელიც ავტომატიურად გადადის მავთულიდან ‌ᲣᲛᲐᲕᲗᲣᲚᲝ ტელეგრაფის ანტენების მეოხებით ჰაერში და აბწევს დანიშნულებისამებრ გემს.

შემდეგ შებრუნებულად, გემი უპასუხებს; პასუხი სწვდება ჰაერის საშუალებით ელბერტონის სადგურს, საიდანაც ის ავტომატიურად გადადის ტელეფონის მავთულზე და აბწევს ამნაირად ქალაქის ტელეფონის ცენტრალურ სადგურს, საიდანაც უერთებენ ხსენებულ ამონენტს კერძო ბინაზე.

მაგრამ ასეთ ტელეფონს მაინც აქვს თუმცა უმნიშვნელო მაგრამ ნაკლი, რომელიც მორიგ გადასაჭრელ საკითხად დადგა რადიო ტეხნიკების წინაშე.

ეს ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ცენტრალურ ტელეფონის სადგურში ასეთ გარემოებაში ლაპარაკის საწარმოებლად დასჭირდათ სპეციალური საცდელი ოთახის მოწყობა. სწორედ ასეთი გართულების მოსაშორებ და ლაპარაკის დროს უფრო ავტომატიურობის შემოღებაწარის‌ᲗᲐᲕᲘᲡ ეხლი დასმული მორიგ ამოცანად, რაც ალბად ახლო მომავალში სრულიად დაძლეული იქნება.

შეიხ.